ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5046429

ნომერი: AR1762202

თარიღი : 22.07.2020

გაცემის თარიღი : 30.07.2020

გაცნობის თარიღი : 31.07.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, N 17ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა არევაძე პ/ნ 56001003302
- ქ. თბილისი, გურამიშვილის N66ა, პირველი სართული

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია,შლაგბაუმის განთავსებასთან დაკავშირებით. საკითხის განხილვის შედეგად (წარმოდგენილი განთავსების სქემის მიხედვით)ირკვევა , რომ შლაგბაუმი ეწყობა საკადასტრო საზღვრის გარეთ თვითმართველი ერთეულის ტერიტორიაზე დაურეგისტრირებელ არეალში. საპროექტო ტერიტორია კი წარმოასდგენს ქალაქის გეგმარებით კარკასს განსაკუთრებული რეგულირების ზონას, სადაც განსაკუთრებულიმნიშვნელობა ექცევა ყველა სახის მშენებლობის განხორციელებას, ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებახც რომ მონიშნული არეალი წარმოადგენს ფეხითმავალთათვის და ავტოპარკირებისათვის განკუთვნილ ადგილს.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

ზემოაღნიიშნული გათვალისწინებით ვინაიდან შლაგბაუმის ეწყობასაზოგადოებრივ სარეკრეაციო სივრცის ნაწილში , არსებული საყვავილე ქოთნებით შემოკავებულ მონაკვეთში, რაც გამოიწვევს ფაქტიურად შენობასთან მისასვლელ არეალის შეზღუდვას და შეაფერხებს აღნიშნულ მონაკვეთში , როგორც ფეხით მოსიარულეთა ნაკადის გადინებას, ასევე გართულებს შენობასთან სახანძრო–სამაშველო ტექნიკის მანევრირებას და მასთან მისადგომობას , სამსახურს მისი უფლებამოსილების გათვალისწინებით არ მიაჩნია მიზანშეწონილად ამ კონკრეტულ ადგილზე შლაგბაუმის მოწყობა და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.